პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№68 (6133)

6 1978 წ. აპრილი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ზაფხულის სეზონს — სრული მზადყოფნით!

**მიმდინარეობს ზაფხულის სპორტული სეზონისთვის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მომზადების ერთთვიური**

**თანდათან** იკვეთება ზაფხულის სპორტული სეზონის კონტურები. რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე წლეულს მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეჯიბრების ჩატარებაა დაგეგმილი. ჩვენს სპორტსმენებს ბევრ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში მოუწევთ რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვა. როგორ პირობებში ემზადებოდნენ ისინი მომავალი სტარტებისთვის? რა სამუშაოებს ატარებენ სპორტული ბაზებისა და ნაგებობების დირექციები რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ღონისძიებების სანიმუშოდ მასპინძლობისთვის? როგორ მოემსახურებიან კულტურისა და დასვენების პარკები ფიზიკური წრთობის, სხეულისა და სულის გალაღების მსურველთ?

ამ და სხვა კითხვებზე უნდა გასცეს პასუხი **რესპუბლიკურმა ერთთვიურმა, რომელიც ზაფხულის სპორტული სეზონისათვის სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მზადების მიმდინარეობის შემოწმებისა და საქმიანობის გააქტიურების მიზნით ტარდება.**

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომელიც სპორტული ბაზებისა და ნაგებობების ხელმძღვანელებს ადგილობრივ პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ერთთვიურის მიმდინარეობაში, მოაწყონ შაბათობები, ფართოდ ჩააბან ახალგაზრდობა და საზოგადოებრივი აქტივი სპორტული ბაზების კეთილმოწყობის სამუშაოებში.

**ერთთვიური 1 აპრილიდან 1 მაისამდე ტარდება. ამ პერიოდში საცხოვრებელ ადგილებში, კულტურის პარკებში და დასვენების ზონებში მოეწყობა მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, სასროლი ტირები და წინაღობათა ზოლები, ახალი ინვენტარით აღიჭურვება არსებული სპორტული ბაზები, ჩატარდება ნაგებობების რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები.**

**ზაფხულის სპორტულ სეზონს ყველა ბაზა და ნაგებობა სანიმუშოდ უნდა შეეგებოს!**

**საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა**

## წინადადება შემომაქვს

# „ხელს უწყობს“ თუ „ზრუნავს?“

**საქართველოს** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის 24-ე მუხლის მეორე აბზაცში ვკითხულობთ: „სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში. იგი ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას“.

იმასთან დაკავშირებით, რომ ფიზკულტურა და სპორტი გადაიქცა სოციალურ მოვლენად და მისი წინსვლა-განვითარება დღეს უკვე ხალხის კეთილდღეობისთვის სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს, აღნიშნული აბზაცი, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: **„სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში, ზრუნავს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის“.**

როგორც ხედავთ, ამ აბზაცის პირველი წინადადების ბოლოს წერტილის ნაცვლად დაისმება მძიმე და სიტყვები — „იგი ხელს უწყობს“ შეიცვლება რედაქციით „ზრუნავს“. ეს უფრო დააკონკრეტებს და, რაც მთავარია, რეალურად გამოხატავს იმ ჭეშმარიტად დიდ ზრუნვა-ყურადღებას, რასაც სახელმწიფო იჩენს მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისთვის. მაგალითისთვის გავიხსენოთ თუნდაც შარშან, 2 ივლისს გამართული რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც შეიმუშავა ფიზკულტურისა და სპორტისადმი ყოველდღიური პარტიული ზრუნვის კურსი.

ვინმეს იქნებ ასეთი აზრიც გაუჩნდეს: თუ 24-ე მუხლის ზემოაღნიშნულ აბზაცში ლაპარაკია იმაზე, რომ „სახელმწიფო ხელს უწყობს კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას მოსახლეობის მომსახურების ყველა სფეროში“, რაღა საჭიროა დაკონკრეტება იმისა, რომ „იგი ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას“, ფიზკულტურა და სპორტი აქ ხომ თავისთავადაც იგულისხმებაო?

მთავარი ისაა, რომ ფიზკულტურისა და სპორტის ცალკე გამოყოფით პროექტის შემმუშავებელ კომისიას გათვალისწინებული და ხაზგასმული აქვს ის დიდი მნიშვნელობა და სოციალური სიკეთე, რაც ფიზკულტურასა და სპორტს მოაქვს ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ დარგსა და სფეროში. მომავალში, ცხადია, ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური ფუნქცია კიდევ უფრო გაფართოვდება და გაღრმავდება. ამან ამთავითვე უნდა პოვოს ასახვა სახელმწიფოს ძირითად კანონში.

„სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და მოსახლეობის მომსახურების სხვა სფეროდან“ ფიზკულტურისა და სპორტის გამოკვეთილად აღნიშვნა სავსებით გამართლებული და აუცილებელია. თუნდაც იმიტომ, რომ ფიზკულტურა და სპორტი ის დარგია, რომელიც ერთნაირად საჭირო და მნიშვნელოვანია ყველა სხვა დანარჩენი სფეროსთვის, რაც მთავარია, წარმოადგენს მათი წინსვლა-დაწინაურების რეზერვსა და სტიმულს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად კანონზომიერად მიმაჩნია 24-ე მუხლის ტექსტში იმის გამოკვეთა, რომ სახელმწიფო ზრუნავს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის.

**თ. ბაჩეჩილაძე,**
**„მართვეს“ რედაქტორის მოადგილე.**

**ტანვარჯიში**

# „მოსკოუ ნიუსის“ ლაურეატები







**ტანვარჯიშის** გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია, გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ პრიზებზე გამართულმა V ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც ამავე დროს მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის (იგი საფრანგეთში სტრასბურგში ჩატარდება) წინ ძალების გენერალური დათვალიერება იყო.

ტურნირის გმირები გახდნენ ახალგაზრდა მოსკოველი ოსტატები ე. მუხინა, გ. კრისინი, აგრეთვე, მ. ფილატოვა (ლენინსკ-კუზნეცკი), რომლებმაც საერთო მოწონება დაიმსახურეს. მუხინამ პირველი ადგილები მოიგო ორძელზე (19,7) და თავისუფალ ვარჯიშში (19,55 ქულა), ფილატოვამ ყველაზე ხჯობა ღვირზე — 19,2.

სტუმრებიდან აღსანიშნავია 15 წლის ამერიკელი რ. შვანდტის წარმატება ბჯენით ხტომებში — 19,275 ქულა.

ვაჟთა შორის გ. კრისინმა 6-დან 4 იარაღზე იმარჯვა, თავისუფალ ვარჯიშში 19,0 ქულა მიიღო, ძელზე — 19,3, ორძელზე — 19,2 და ტაიჭზე — 18,9.

სტუმრებიდან პირველი ადგილები მოიგეს 19 წლის კოტბიუსელმა ი. რობელმა (გდრ) — ხტომებში 18,9 და ფხენიანელმა კიმ გვან დინმა რგოლებზე შეჯიბრებაში — 19,2.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ზევიდან ქვევით — ე. მუხინა, გ. კრისინი და მ. ფილატოვა.

**ხელბურთი**

# ახალი წესებით

**ზაპოროჟიეში** ჩატარდა სსრ კავშირის 15-16 წლის ჭაბუკთა პირველობის ფინალური თამაშების I ტური ხელბურთში. შეჯიბრება ჯერ კიდევ იანვარში დაიწყო. მასში მონაწილეობდა 18 გუნდი. ქვეჯგუფში თამაშებმა გამოავლინა ექვსი უძლიერესი გუნდი, რომლებმაც ზაპოროჟიეში განაგრძეს ასპარეზობა. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებთან ერთად ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ უკრაინის პირველი და მეორე, აგრეთვე, რსფსრ-ის, მოსკოვისა და ბელორუსიის გუნდები.

წელს ჭაბუკთა საკავშირო პირველობის ფინალური თამაშები ერთის ნაცვლად ორ ტურად ტარდება. გუნდებმა შეხვედრის პირველ ნახევარში აუცილებლად უნდა ითამაშონ პრესინგი. ამასთან, ყოველ კოლექტივს უნდა ჰყავდეს ორი მოთამაშე მაინც, რომელთა სიმაღლე 190 სმ ან მეტი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდის წევრთა რაოდენობა კლებულობს. კარგად იასპარეზა საქართველოს მოსწავლეთა გუნდმა (მწვრთნელი რ. ჭანტურია). მოსკოვის, ბელორუსიისა და უკრაინის მეორე გუნდებთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა ჩვენს ბიჭებს ფინალურ I ტურში III ადგილი მოუტანა.

ტურნირის ბომბარდირთა შორის მოხვდა ჩვენი გუნდის წევრი გ. მამულაშვილი, რომელმაც 32 ბურთი გაიტანა. კარგად ითამაშეს, აგრეთვე გუნდის კაპიტანმა მ. ჩხარტიშვილმა, გ. კარტოზიამ, გ. კახიანმა, ლ. ჩიკვაიძემ და ი. მეძმარიაშვილმა. საბოლოოდ, I ტურის შემდეგ I ადგილზეა უკრაინის I გუნდი — 10 ქულა, II-ზე — რსფსრ-ის კოლექტივი — 7,5. საქართველოს გუნდს 6 ქულა აქვს.

შემდეგი ტური ივნისში გაიმართება. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები, რომელიც თბილისის განათლების განყოფილების ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის (დირექტორი ჯ. ცერცვაძე) მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, იბრძოლებს საპრიზო ადგილისთვის. შემდეგ კი გუნდს ელის მეტად საპასუხისმგებლო თამაშები ტაშკენტის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე.

**მძლეოსნობა**

**ამას წინათ** პერმში გაიმართა ოლიმპიური რეზერვების მძლეოსანთა ზამთრის პირველობა, რომელშიც 46 კოლექტივი მონაწილეობდა. საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებულმა სპორტსკოლამ შარშან II ჯგუფის კოლექტივებში III ადგილი დაიკავა, ამიტომაც იგი წლეულს პირველ ჯგუფში სასპარეზოდ დაუშვეს და იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე წამყვანი ათლეტი აკლდა, საქართველოს გუნდმა X ადგილის მოპოვება შეძლო. საპრიზო ადგილები წილად ხვდათ მოსკოვის, ლენინგრადის და მინსკის მძლეოსნებს.

## ოლიმპიური რეზერვი ძალებს ამოწმებს

პირად პირველობაში თბილისელმა სპრინტერმა გ. ბაგაშვილმა 60 მეტრზე რბენაში მეხუთე შედეგი (6,7 წამი) აჩვენა. გ. ლახმინმა 209 სმ სიმაღლე დაძლია და II ადგილი დაიკავა. სიგრძეზე ხტომაში ს. კრასნოკუტსკი მეოთხე იყო — 663 სმ. მათ გარდა უძლიერეს ათეულში კიდევ რამდენიმე სპორტსმენი შევიდა.

**მ. ტუკვაძე,**
**ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ჟურნალისტიკის განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი.**

**ძიუდოობა**

## ხალიჩაზე არიან სტუდენტები

გორში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში 8 გუნდის 90-ზე მეტი მოჭიდავე გამოდიოდა. სამწუხაროდ, ასპარეზობას თავი აარიდეს სოხუმის, თელავისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლებმა.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ი. ღვკანოსიძე (გორის პედაგოგიური ინსტიტუტი), თ. ახობაძე, დ. ბაქრაძე (ორივე — სპი), ა. ქორიძე, მ. ჭავჭანიძე, ა. ქართველიშვილი (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი), დ. მახარაძე (ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი), ვ. ტოგონიძე, ა. ქანთარია (ორივე — სპი), ზ. ავლოხაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

გუნდურ ჩათვლაში I ადგილზე არიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭიდავეები (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი გ. ხუჭუა). II-III ადგილებზე გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც საქართველოს პროფსაბჭოს სპარტაკიადისა და „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობისთვის ემზადება.

**გ. ამირხანოვი.**

# საქართველოს სპორტკომიტეტში

**ამ დღეებში** გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა, რომელზეც იმსჯელეს რესპუბლიკის სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების ხარისხის შემოწმება-რეიდის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ფართოდ დასანერგად, საქართველოს მშდ-ს მრავალჭიდელთა ნაკრებმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა საკავშირო ჩემპიონატში. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში მშდ კომპლექსზე მუშაობა არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს, ადგილი აქვს ფორმალიზმს, მიწერებს, სიყალბისა და თვალისახვევის ფაქტებს.

მაგალითად, აჭარაში შემოწმებული 325 ნიშნოსნიდან 55-მა ვერ გაიმეორა ოქმებში ფიქსირებული შედეგები, მცხეთისა და ცაგერის რაიონებში კი ყოველმა მესამე ნიშნოსანმა ვერ შეასრულა სანორმატივო მოთხოვნები.

კოლეგიის სხდომამ განიხილა საქართველოს სპორტულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში კრივის განვითარების მდგომარეობისა და ნაკრები გუნდის სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადისთვის მზადების საკითხები. ითქვა, რომ მიუხედავად გარკვეული წარმატებისა ჯერ კიდევ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა კრივის მასობრივად განვითარებაში, დაბალია სასწავლო-საწვრთნელი პროცესის დონე, ნაკლები ყურადღება ეთმობა პერიფერიებში მუშაობას.

კოლეგიის სხდომაზე იმსჯელეს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წარმოება-დაწესებულებებში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობაზე. აღინიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და მის სისტემაში შემავალი წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს 1977 წლის 2 ივლისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დადგენილებისა და ამ აქტივზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. შევარდნაძის მოხსენებაში, გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ცხოვრებაში გასატარებლად. სამინისტროსთან შეიქმნა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. შეწირული.

კოლეგიამ იმსჯელა რესპუბლიკაში მოკლე მანძილებზე რბენებისა და თარჯრბენების, ნიჩბოსნური სლალომის, საწყლოსნო-სათხილამურო სპორტის, აგრეთვე, ფარიკაობის განვითარების მდგომარეობისა და საკავშირო შეჯიბრებებისთვის მზადების შესახებ. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები სპორტის აღნიშნული სახეობების შემდგომი განვითარებისთვის. მოისმინეს ინფორმაციები სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადაში საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაწილეობის შედეგებისა და გაზეთ „პრავდის“ პრიზზე საკავშირო კროსისთვის რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მზადების თაობაზე.

კოლეგიის სხდომამ დაამტკიცა რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების 1978 წლის გეგმა.

# პირამიდის ფუძესთან

**სსრ კავშირის** ხალხთა VII სპარტაკიადა პირამიდაა, რომლის საძირკველია მასობრივი სტარტები საამქროებში, განყოფილებებში, კლასებში, სპორტულ კლუბებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებში, ხოლო მწვერვალი — ფინალები ლუჟნიკში, წინაოლიმპიური მოსკოვის სარბიელზე.

და აი, დადგა გაზაფხული, რომლის ყოველი დღე მასობრიობისა და ოსტატობისკენ გადადგმული ახალი ნაბიჯი უნდა გახდეს.

**„განთიადის“ სპორტული კლუბი.** თბილისის ავიამშენებლებმა თავიათ სტადიონზე კომკავშირული კროსი ჩაატარეს. ფეხბურთელები ჩაებნენ საქართველოს პირველობის გათამაშებაში. დამთავრდა მასობრივი ტურნირი ჭადრაკში. გაიმარჯვა ბ. ავეტისიანმა, რომელმაც 18 მეტოქეს აჯობა. დასასრულს უახლოვდება ზამთრის სპარტაკიადა, რომელშიც 1600 კაცი მონაწილეობს. დაამთავრეს ასპარეზობა ფრენბურთელებმა, კალათბურთელებმა, ფეხბურთელებმა (მინი-ფეხბურთი). გამოვლინდნენ გამარჯვებულები აჭიმვაში, ბაგირის გადაძალვაში, სროლაში. ამ დღეებში გაირკვევა გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული საამქროს ვინაობა. 275 ავიამშენებელმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ცალკეული ნორმატივი.

**ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“.** ტყვიის სროლა, მშდ-ის მრავალჭიდი (6 კილომეტრზე ლაშქრობა, ღერძზე მიზიდვა და სროლა), მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში — ასეთია სპარტაკიადის პროგრამა. ლიდერობს საწარმოს მეორე საამქროს კოლექტივი (უფროსი ზ. ხახიაშვილი). სროლაში ყველას აჯობეს მ. შავლაძემ, ნ. კევლიშვილმა, ა. დოროშმა. 350 მონაწილიდან 100-ზე მეტმა შეასრულა მშდ კომპლექსის ნორმატივი.

**თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანა.** სპარტაკიადამ სტარტი აიღო ახლად გარემონტებულ სპორტდარბაზში. ასპარეზობა დაიწყეს ფრენბურთელებმა. პროგრამაში სულ სპორტის 5 სახეობაა, გამარჯვებულს გადაეცემა საქარხნო კომიტეტის თასი.

**კერამიკულ კომბინატში** სპარტაკიადის პერიოდში მშდ კომპლექსის ნორმატივი 36 ფიზკულტურელმა შეასრულა. საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი ლ. ლობჟანიძე მეთევზეთა გუნდს ამზადებს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს მომავალი შეჯიბრებისათვის, რომელიც შაორში ჩატარდება.

სპარტაკიადა დაიწყო სპორტკლუბებში („სინათლე“, „უშბა“, „ელმავალი“, „გამარჯვება“, „მე-[illegible]). შეჯიბრების პროგრამაში სპორტის 6-10 სახეობა [illegible].

„განთიადის“ ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სკოლის საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში კლასიკური სტილის 40 ნორჩი მოჭიდავე ჩაება. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: თ. თაბაგარმა, გ. ყარყარაშვილმა, ტ. მაკაროვმა, ი. ცხოვრებოვმა, ი. სამორუკიევმა, ტ. მეჩიტაშვილმა, გ. ლომისაშვილმა, ი. რაზმაძემ და ნ. ქობულოვმა.

...სტარტი აღებულია, წინაა გრძელი დისტანცია. თუმცა სპორტული შედეგები დაბალია, შეჯიბრების პროგრამა სრულყოფილი არ არის, ზოგან სპორტული ნაგებობებიც მოუწესრიგებელია, მაგრამ მთავარი საქმე გაკეთებულია: ათასობით თბილისელი მუშა-მოსამსახურე სპორტულ გაზაფხულს ხვდება, გატაცებით აბარებს მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

ზ. კოვალიოვი.



**ამიერკავკასიის** რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ქუთაისის კვანძის სპორტკლუბ „თბომავალში“ ნაყოფიერად მუშაობს ფარიკაობის, კრივის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, ცურვის, კალათბურთის და სხვა სექციები. კარგად გამოდიან ბალახის ჰოკეის როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდები. კლუბი აერთიანებს 1650 სპორტსმენს. მათ წვრთნას ემსახურება 13 კვალიფიციური მწვრთნელი.

ს უ რ ა თ ზ ე: კლასიკური ჭიდაობის ნორჩ მოყვარულთა ვარჯიში (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ე. ალავიძე).

გ. ქიმერიძის ფოტო.

# ასპარეზობენ მოსწავლეები

**მოსწავლეთა** საგაზაფხულო არდადეგების დღეებში ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის საჭიდაო დარბაზში გაიმართა თბილისის პირადი პირველობა ძიუდოში იუნიორთა შორის.

ტურნირში მონაწილეობდა 170-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი. თბილისის ჩემპიონები გახდნენ: ბ. სიმონიშვილი, ლ. ბასილაშვილი, დ. ხოსიტაშვილი, ს. კაბაჩენკო, ე. გასიშვილი, ზ. მერაბიშვილი, ბ. ბოლოთაევი, კ. გოგიბედაშვილი, თ. კვანჭილაშვილი და გ. მურადაშვილი.

ბ. თათეიშვილი.

●

**ზესტაფონის** ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა XXX რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრება კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის რაიონებისა და ფოთის გოგონათა და ვაჟთა ნაკრები გუნდები. გოგონათა შორის I ადგილი მოიპოვა ფოთის ნაკრებმა გუნდმა, II საპრიზო ადგილი ზესტაფონის რაიონის გოგონათა ნაკრებმა დაისაკუთრა, ხოლო III — მაიაკოვსკის რაიონის გუნდმა. ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში ზესტაფონელმა სპორტსმენებმა დაუმარცხებლად განვლეს ტურნირი და I ადგილი მოიპოვეს. II ადგილი წილად ხვდა ფოთის ნაკრებ გუნდს, ხოლო III მაიაკოვსკელმა კალათბურთელებმა დაიკავეს.

ა. განუგრავა.

# „ცურვამ გამაახალგაზრდავა“

**ამას წინათ** ვაკის საცურაო აუზში გაიმართა გამაჯანსაღებელი ჯგუფების ასპარეზობა ცურვაში. შეჯიბრების 250 მონაწილე სამ ასაკობრივ ჯგუფად დაყვეს. 1937 წლამდე, 1937-1962 წლებში და 1962 წლის შემდეგ დაბადებულები ცალ-ცალკე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ნებისმიერი სტილით 50 მეტრზე ცურვაში.

უხუცესთა შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა ნ. თუთბერიძემ, რომელმაც 34 წამში დაფარა დისტანცია. მეორე იყო მ. სვანიძე, ხოლო მესამე მ. მდინარაძე. სამივე პრიზიორს, აგრეთვე, გამაჯანსაღებელი ჯგუფის უხუცეს წევრებს, 69 წლის ვ. ნასბერგსა და 1919 წელს დაბადებულ ხ. ფიდლერს სიგელებთან ერთად საცურაო აუზის აპრილის თვის უფასო აბონემენტები გადაეცათ.

საშუალო ასაკობრივ ჯგუფში ქალებიც გამოდიოდნენ. აქ ყველას აჯობა მ. ძებურაშვილმა, მას მიჰყვნენ პ. პერეგუდოვა და უ. ბორძენაძე. ვაჟებში ფინიშთან პირველი მივიდა ნ. ანანოვი, რომელმაც ამ შეჯიბრებაში აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი — 33 წამი აჩვენა. მეორე იყო ფ. ჰუსეინოვი, ხოლო მესამე — ლ. აბაზაძე.

უმცროსთა შორის გაიმარჯვა დ. როინიშვილმა (44,0 წამი), მეორე ადგილზე გავიდა თ. სუხიშვილი, მესამეზე — ო. სვიტენკო.

უხუცესების მსგავსად, საშუალო და უმცროსი ასაკის მოცურავეები უფასო აბონემენტებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. სიგელი და უფასო აბონემენტი გადაეცა, აგრეთვე, ტურნირის ყველაზე ნორჩ მონაწილეს — 1967 წელს დაბადებულ პ. მირიანაშვილს.

შეჯიბრება მაღალორგანიზებულად ჩატარდა.

— გამაჯანსაღებელ ჯგუფში ათი წელია ვვარჯიშობ და ამ ხნის განმავლობაში ვგრძნობ, რომ ჯანმრთელობა დღითიდღე მიუმჯობესდება. წყალი ძალიან შემიყვარდა, ჩემის აზრით, ცურვა ჯანმრთელობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა — გვითხრა გამაჯანსაღებელი ჯგუფის ერთ-ერთმა უხუცესმა წევრმა, პროფესორმა მ. მდინარაძემ. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ნასბერგი კი ამბობს: „წყლის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. არსად ისეთ სიამოვნებას არ ვგრძნობ, როგორც წყალში ყოფნისას. ცურვამ პირდაპირ გამაახალგაზრდავა“.

დაბოლოს იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალში ასეთი შეჯიბრებები ტრადიციული გახდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ სხვა საცურაო აუზების გამაჯანსაღებელი ჯგუფების წევრებიც.

ა. გესტავაშვილი.

## ფრენბურთი

# რვა გუნდის მონაწილეობით

**თბილისის** ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზში თითქმის ერთ თვეს მიმდინარეობდა თბილისის ჩემპიონატის I წრის შეხვედრები ფრენბურთში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების, აგრეთვე, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სპორტკლუბ „სინათლეს“, თბილისის განათლების განყოფილებისა და საქართველოს „სათბურმშენის“ გუნდები.

წარმატებით იასპარეზა „სინათლეს“ კოლექტივმა (ეს გუნდი ფიზკულტურის ინსტიტუტის საუკეთესო ფრენბურთელებითაა დაკომპლექტებული), რომელმაც ყველა მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხა და სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს. I წრის შეხვედრების შემდეგ II — III ადგილებზე შესაბამისად ფიზკულტურისა (მე-2 გუნდი) და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ფრენბურთელები არიან.

ქების ღირსია „სათბურმშენის“ მოთამაშე-მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ე. ობიტკო, რომელმაც ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა აზიარა ფრენბურთს და მოკლე დროში გუნდიც ჩამოაყალიბა. მართალია, ამ კოლექტივს აკლია გამოცდილება, არც ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების მაღალი დონით გამოირჩევა, მაგრამ საქმის სიყვარული და მონდომება, ვფიქრობთ, მალე სასურველ ნაყოფსაც გამოიღებს.

თბილისის სპორტკომიტეტის მუშაკებმა ყველაფერი იღონეს შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. ასპარეზობას ემსახურებოდნენ გამოცდილი არბიტრები: საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები — ე. სანთელაძე, რ. მურადოვი და ლ. სტეფანიანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ი. გურგენიძე და სხვები.

კ. სალუქვაძე.



ს უ რ ა თ ზ ე: ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდების შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

## ძალოსნობა

# არის რეკორდი!

**ქალაქ** მცენსკში (ორიოლის ოლქი) გაიმართა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობა ძალოსნობაში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სოფლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებაში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლებმა. პირველი ქვემძიმე წონის ძალოსანმა, საჩხერელმა ე. დვალმა (მწვრთნელი თ. ლაშხი) მეორე ადგილი დაიკავა, ბჯენში 201 კილოგრამი დაძლია და სოფლის სპორტსმენთა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. მან შესწორება შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის რეკორდშიც.

ქვემსუბუქ წონაში მოასპარეზე ორ ძალოსანს ბ. ჩიოტაშვილსა (ცხინვალი) და გ. მამიაშვილს (წყალტუბო) შესაბამისად II და III საპრიზო ადგილები ხვდათ წილად.

უ. ქორიძე.

# სეზონი სამხრეთში იწყება

**ფეხბურთი**

## „ყოფნა-არყოფნა“

ამ ბოლო წლებში ვოროშილოვგრადის „ზარიას“ წინაშე, რომელიც თავის დროზე სსრ კავშირის ჩემპიონი იყო, სისტემატურად დგება უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი. ყოველი ჩემპიონატის მიწურულში გუნდის ხელმძღვანელობას ის საზრუნავი აქვს, როგორმე შეინარჩუნოს ადგილი უძლიერესთა შორის. ცხადია, ასეთ პირობებში მწვრთნელები სისტემატურად იცვლებიან, „ზარიას“ მესვეურები ეძებენ ახალ-ახალ გზებს, რათა გუნდმა დაიბრუნოს დაკარგული სახელი.

დასრულდა თუ არა შარშანდელი სეზონი, გუნდი დატოვა უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. საზომ (იგი ახლა კიევის არმიელებს წვრთნის). იგი შეცვალა სპორტის ოსტატმა ზახაროვმა, რომელიც ადრე დონეცკის „შახტიორში“ მუშაობდა.

ახალმა მწვრთნელმა „ზარიას“ ფეხბურთელებს იანვრის დასაწყისში მოუყარა თავი, გუნდი ჯერ შინ ვარჯიშობდა, შემდეგ კი ლენინგრადში გაემგზავრა „ნედელიას“ პრიზზე. შავი ზღვის სანაპიროზე მზადების შემდეგ „ზარია“ ჩაება სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, სადაც საკმაოდ იოლად სძლია ლენინაკანის „შირაკს“.

„ზარიას“ შემადგენლობაში საკმაო ცვლილებები მოხდა. გულევსკიმ, რომელიც ახლახან დაინიშნა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ მწვრთნელად, ვოროშილოვგრადიდან თავის კლუბში მიიწვია მცველი აბრამოვი და ცენტრალური თავდამსხმელი ელისეევი. ახალგაზრდა თავდამსხმელები ანდრეევი და სტულჩინი გადავიდნენ დონის როსტოვის არმიელთა კოლექტივში, ტყუპი ძმები, თავდამსხმელები ვლადიმერ და ლეონიდ მალები ახლა ოდესის არმიელთა გუნდში გამოდიან. აღარ თამაშობს ვეტერანი ფორვარდი სემიონოვი, რომელიც თავის დროზე „ზარიას“ წამყვანი ფეხბურთელი იყო. ყოველივე ამის გამო გუნდში არაერთი ვაკანტური ადგილი გაჩნდა და მწვრთნელიც ექსპერიმენტების გზით წავიდა.

კარს კლავინდებურად იცავს ცნობილი ოსტატი, 31 წლის ტკაჩენკო. საჭიროების შემთხვევაში მას შეცვლის მეორე საკმაოდ გამოცდილი მეკარე სობეცკი, რომელიც ტკაჩენკოზე 4 წლით უმცროსია.

დაცვის ხაზში გამოდიან პინჩუკი, მალიგინი, ს. ჟურავლიოვი, რაბოჩი და იგნატენკო. გარკვეული არჩევანი აქვს მწვრთნელს ნახევარდაცვაში, სადაც ვ. კუზნეცოვის, კუკსოვისა და სოროკალეტის მხარდამხარ თამაშობს დონეცკის „შახტიორიდან“ გადმოსული 30 წლის შევლიუკი. იგი ბევრ საკონტროლო მატჩში მონაწილეობდა.

ყველაზე უფრო გაურკვეველი მდგომარეობაა თავდასხმაში, სადაც ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოდიან. მათ შორის შედეგიანობით გამოირჩევა პოლუკაროვი.

ზახაროვის წინაშე საკმაო სიძნელეებია, მაგრამ ყოველ ახალ მწვრთნელს ხომ გუნდში ახალი იმედები მოაქვს.

## უპირატესობა — ნაცად ოსტატებს

მოთამაშეთა გადასვლის პროცესი დონეცკის „შახტიორს“ სრულიადაც არ შეხებია, რაც საკმაოდ იშვიათი ამბავი გახლავთ. ახალ სეზონში დონეცკელები პრაქტიკულად ისეთივე შემადგენლობით თამაშობენ, როგორც შარშან.

გუნდს კვლავინდებურად უდგანან სათავეში უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი სპორტის ოსტატი სალკოვი (უფროსი მწვრთნელი), კალინინი (უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობით დარგში) და უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნოსოვი (მწვრთნელი).

მწვრთნელებმა გუნდი თითქმის იმავე გეგმით მოამზადეს, რომელსაც სხვა კოლექტივები ახორციელებდნენ — საწყისი პერიოდი შინ ჩაატარეს, შემდეგ ლენინგრადში ითამაშეს „ნედელიას“ პრიზზე, ემზადებოდნენ შავი ზღვის სანაპიროზე. სსრ კავშირის თასის საწყის ეტაპზე „შახტიორმა“ სძლია კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ და ერევნის „არარატს“.

როგორც ცნობილია, თანაბრად დაკომპლექტებულ „შახტიორს“ ჩვეულებრივ საპრიზო ადგილზე აქვს ხოლმე პრეტენზიები. იგივე მიზნებს ისახავენ მწვრთნელები წლეულსაც.

გუნდის ძირითადმა მეკარემ დეგტიარევმა, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების ძირითადი მეკარეცაა, ნაკრების შემადგენლობაში დასავლეთ ევროპაში იმოგზაურა და „შახტიორს“ მარტის მეორე ნახევარში შეუერთდა.

დაცვაში კვლავინდებურად გამოდიან ყოფილი თავდამსხმელი იარემჩენკო, გორბუნოვი, ზვიაგინცევი, კონდრატოვი და რუდაკოვი. ისინი კარგად არიან შეთამაშებული. როგორც ცნობილია, „შახტიორის“ დაცვასთან ბრძოლა ერთობ ძნელი პრობლემა გახლავთ ყველასთვის.

შუა ხაზში საკონტროლო თამაშებში და თასზე ძირითადად გამოდიოდნენ დუდინსკი, სოკოლოვსკი, საფონოვი. მწვრთნელები ცდიან ლატიშსაც.

შარშან ტრავმები აწუხებდა გუნდის ცენტრალურ თავდამსხმელს სტარუხინს, რომელმაც ამის გამო ბევრი მატჩი გამოტოვა. ახლა ვეტერანი ინტენსიურად ვარჯიშობს და კვლავინდებურად წარმართავს თავდასხმაში თამაშს. მართალია, სტარუხინი კრიტიკულ ასაკს მიუახლოვდა, მაგრამ ჯერჯერობით გუნდისთვის შეუცვლელია. ბევრ საკონტროლო მატჩში მონაწილეობდნენ ფორვარდები რეზნიკი და როგოვსკოი. მწვრთნელს ხშირად გამოჰყავდა მინდორზე ფედორენკოც.

სალკოვს ყველა რგოლში საკმაოდ ჰყავს ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მათ თანდათანობით შეიყვანს ძირითად შემადგენლობაში, ჯერჯერობით კი უპირატესობა ყველა რგოლში ისევ ნაცად ოსტატებს აქვთ.

## როგორია ოპტიმალური ვარიანტი?

უმაღლესი თუ პირველი ლიგების გუნდების მწვრთნელები სეზონის დაწყების წინ აუცილებლად ლაპარაკობენ შემადგენლობის დაკომპლექტების სიძნელეებზე, სათანადო შემსრულებელთა უყოლობაზე და ა. შ. მოსკოვის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ივანოვი იმ მცირე გამონაკლისს ეკუთვნის, რომელიც ვერც ერთს დაემდურება და ვერც მეორეს. თითოეულ ხაზზე მას საკმაო კანდიდატები ჰყავს და მხოლოდ ოპტიმალური ვარიანტის ძიება აწუხებს.

ივანოვთან კვლავინდებურად თანამშრომლობენ სპორტის ოსტატი ზოლოტოვი (უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობითი დარგში) და სპორტის დამსახურებული ოსტატი შუსტიკოვი (მწვრთნელი). გუნდი იანვრის დასაწყისიდან ემზადება, მონაწილეობდა „ნედელიას“ ტრადიციულ ტურნირში, იმოგზაურა იტალიასა და რუმინეთში. გუნდის ორმა წევრმა — მცველებმა პრიგოდამ და ჟუპიკოვმა სსრ კავშირის ნაკრების ტურნეში მიიღეს მონაწილეობა. მზადების დასკვნითი ეტაპი „ტორპედომ“ ადლერში ჩაატარა.

გუნდიდან წავიდა ძირითადი შემადგენლობის ორი მოთამაშე. თავდამსხმელი დეგტიარევი გადავიდა მოსკოვის „ლოკომოტივში“, ხოლო თავდამსხმელი ბელენკოვი — ცსკა-ში. ზოგი რამ „ტორპედოს“ კოლექტივის ახალი წევრების შესახებ: მეკარე ბალახნინი გადმოვიდა გროზნოს „თერგიდან“. იმის გამო, რომ ძირითადი მეკარე ზარაპინი თითქმის მთელი მოსამზადებელი პერიოდის მანძილზე ავად იყო, ბალახნინი იცავდა კარს და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვიდან“ გადმოვიდა მცველი კოპაევი. იგი სწრაფია, გაბედულად მოქმედებს, შეუპოვარია, თუმცა პოზიციის შერჩევაში შეცდომები მოსდის. ჩინებულად მოქმედებდა საკონტროლო მატჩებში დნეპროპეტროვსკის „დნეპრიდან“ გადმოსული ნახევარმცველი იაკოვლევი, რომელსაც, ისევე, როგორც ახალგაზრდა მეკარე ბალახნინსა და კოპაევს, ძირითად შემადგენლობაში თამაშის უდავო პრეტენზია აქვს. გუნდს შეემატა ახალი თავდამსხმელი ნოვიკოვი ალმა-ათის „ქაირათიდან“.

მოხდა ისე, რომ ახლა ივანოვს დაცვაში 7 ფეხბურთელი ჰყავს: პრიგოდა, ჟუპიკოვი, კრუგლოვი, ხუდიევი, მირონოვი, კოპაევი და ბუტურლაკინი.

დიდი არჩევანია შუა ხაზშიც. სახაროვი, რომელიც გუნდში დიდ როლს ასრულებს, მოსამზადებელ პერიოდში, ტრავმის მოშუშების შემდეგ, ბევრს ვარჯიშობდა და ახლა კარგ ფორმაშია. აქტიურად მოქმედებდნენ იურინი და სუჩილინი. როგორც ცნობილია, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ შარშან გუნდს დაუბრუნდა მისი ყოფილი კაპიტანი ნიკონოვი. საკონტროლო მატჩებში აქვე თამაშობდნენ პეტრენკო, ვასილიევი და, როგორც მოგახსენეთ, იაკოვლევი.

წინა ხაზზე „ტორპედოს“ ჰყავს 3 გამოცდილი ფორვარდი: ხრაბროსტინი, ხლოპოტნოვი და გრიშინი. მათთან ერთად საკონტროლო მატჩებში მონაწილეობდა ნოვიკოვიც.

ერთი სიტყვით, „ტორპედომ“, რომელიც შეუპოვრად ემზადებოდა ახალი სეზონისთვის, საკონტროლო მატჩებში გამოსცადა თავისი ახალი წევრები და ახლა შემადგენლობის ოპტიმალური ვარიანტი უნდა დაადგინოს.

# II ლიგა: პირველი შეხვედრები

4 აპრილს სტარტი მიეცა ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირს „ა“ კლასის II ლიგის IV ზონაში, სადაც ჩვენი რესპუბლიკის გუნდები გამოდიან. ამ დღეს საქართველოს ქალაქებში მოეწყო გათამაშების საზეიმო გახსნა, ფეხბურთელებს უსურვეს წარმატებები, ახალი მიღწევები შრომაში, სწავლასა და სპორტში, აღიმართა ასპარეზობათა ალმები.

ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ პირველი მატჩების შესახებ:

## „დინამო“ (ბათუმი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 1:0

ნაწვიმარ, სველ მინდორზე მეტოქეებმა ფრთხილად დაიწყეს თამაში, საკმაო ხნის განმავლობაში უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონია. შემდეგ ბათუმელებმა განახორციელეს რამდენიმე კომბინაცია და უკვე მე-20 წუთზე ესებუას მიეცა ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა.

გაცილებით უფრო ეფექტურად და თამამად მოქმედებდა „დინამო“ შესვენების შემდეგ. სტუმრების მეკარე ბოგდანოვს დიდი დატვირთვა დააწვა, მან რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, ხოლო მე-60 წუთზე კუთხურზე მოიგერია გორგილაძის უძლიერესი დარტყმა.

ანგარიში გაიხსნა 70-ე წუთზე. სარიშვილმა მარჯვენა ფრთიდან მიიღო გადაცემა, კარგ პოზიციაში მიაწოდა შელიას და ამ უკანასკნელმა 15-16 მეტრის მანძილიდან ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

დანიშნული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის. ისინი გადაეცათ ცინარიძეს („დინამო“) და კონსტანტინოვს („დრუჟბა“).

პირველი მატჩი ბათუმის „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: სურგულაძე, წუწუნავა, ცინარიძე, სარიშვილი, გიორგიადი, კაკალაძე (სანიკიძე), შელია, ესებუა, მენაბდე (გელაჭეიშვილი), გორგილაძე, ბეჟანიძე.

ო. მურვანიძე.

## „დინამო“ (სოხუმი) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:0

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ თავიანთი განახლებული გუნდის დებიუტს. გამოცდილმა ყაზანელმა ფეხბურთელებმა სცადეს თავიდანვე ხელთ აეღოთ ინიციატივა და პირველ ტაიმშივე მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ დინამოელებმა მონდომებული თამაშით მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები, შესვენების შემდეგ კი ინიციატივას უკვე ფლობდნენ მასპინძლები.

მიმდინარეობდა მე-80 წუთი, როცა „რუბინის“ მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე წააქციეს ბოხაშვილი ლენინგრადელმა არბიტრმა ბასკაკოვმა დანიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა ხარტაკოპულომ — 1:0. სტუმრების რამდენიმე კონტრიერიშს შედეგი არ მოჰყოლია და გამარჯვება სოხუმელებს დარჩათ.

საუკეთესო მოთამაშეთა პრიზები გადაეცათ სოხუმელ შიბას და ყაზანელ იბრაილოვს.

შ. ჯალაღონია.

## „დინამო“ (ზუგდიდი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 0:0

ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა შეტევით დაიწყეს თამაში. მათ პირველ ტაიმში ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გახსნა — პირველად გუნიას დარტყმული ბურთი აიღო მეკარე შკოდინმა, მერე კი ნაჭყებიამ ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი.

დაძაბულად წარიმართა მეორე ტაიმი. მასპინძლებმა აქაც ვერ მოახერხეს ხელსაყრელ მდგომარეობათა გამოყენება (დარჯანია, წულაია). მეტოქეებმა 90 წუთის მანძილზე ვერ შეძლეს ვერც ერთი ბურთის გატანა.

საუკეთესო მოთამაშეებად მიჩნეული იქნენ გულორდავა („დინამო“) და შელოკოვი („ზენიტი“).

ზუგდიდის „დინამომ“ შეხვედრა ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: კვარაცხელია, წულაია, ანტოსიევი, ხურცილავა, სომხიშვილი, გულორდავა, ფენდქრავა (გვიშიანი), თუთბერიძე, ნაჭყებია, დარჯანია, გუნია.

გ. ალშიბაია.

## „დილა“ (გორი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 1:1

მატჩს კარგი ამინდი დაესწრო და მაყურებელმაც სათანადო ინტერესი გამოიჩინა მის მიმართ. პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ, რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელეს და მე-10 წუთზე მიზანსაც მიაღწიეს: მამესწარაშვილმა გვერდი აუარა მცველებს, გადასცა ბურთი ბუზალაძეს, რომელმაც უძლიერესი დარტყმით გაგზავნა იგი ბადეში — 1:0.

შესვენების შემდეგ ერთ-ერთ მომენტში კარგად ითამაშა ურალელმა ამირპულმა — 1:1. ორივე მხარის შემდგომ ცდას გაეზარდა ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია.

ი. თევდორაშვილი.

## „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ზვეზდა“ (პერმი) 1:1

პერმის „ზვეზდა“ გამოცდილი გუნდია, რომელსაც შარშან მოუხდა I ლიგის დატოვება. ამის მიუხედავად სამტრედიელებმა გაბედულად შეუტიეს მეტოქეს, ტოლი არაფერში დაუდეს მას და მთელი ტაიმის განმავლობაში არ დაუთმიათ ინიციატივა. მასპინძლებმა რამდენიმე კუთხური მოაწოდეს, ძელსაც მოახვედრეს ბურთი, „ზვეზდის“ დაცვა და მეკარე შალამოვი განუწყვეტლივ საქმიანობაში იყვნენ.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და ჩახუნაშვილი-ბახტაძის კომბინაცია დამთავრდა ზუსტი თავური დარტყმით — 1:0, მაგრამ გავიდა ორიოდე წუთი და „ლოკომოტივის“ მეკარე ცომაიამ ვერ შეძლო სოლოვიოვის მიერ საკმაოდ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთის მოგერიება — 1:1.

საუკეთესო მოთამაშეთათვის განკუთვნილი პრიზები წილად ხვდათ სამტრედიელ ჩახუნაშვილს და პერმელ ალექსანდროვს.

სამტრედიის „ლოკომოტივის“ შემადგენლობა პირველ მატჩში ასეთი იყო: ცომაია, ჩომახიძე (ბითაძე), ანდღულაძე, ვოლკოვი, ცუცქირიძე, ქორიძე, ჩახუნაშვილი, მესიაჩენკო (კობრავა), გიგოლაშვილი, ბახტაძე, დვალიშვილი.

ა. სირაძე.

## კრივი

**ალმა-ათაში** დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ა. ტურეი (რუმინეთი), ა. მიხაილოვი, ფ. პაკი (ორივე — სსრ კავშირის ნაკრები), ბ. ნურმაგამბეტოვი (ყაზახეთი), ი. პროხოროვი (სსრ კავშირის ნაკრები), ა. სტრელნიკოვი (ყაზახეთი), პ. გალკინი, ხ. ჯაბრაილოვი (ორივე — პროფკავშირთა ნაკრები), ხ. გომესი (კუბა), ი. ნოვიკოვი („შრომითი რეზერვები“), ა. მილიანი (კუბა).

საინტერესოა, რომ ასპარეზობაში ორი ქართველი მოკრივე ა. ხიზანიშვილი (54 კგ) და მ. თაქთაქიშვილი (71 კგ) მონაწილეობდა. ხიზანიშვილი ნახევარფინალში ფ. პაკთან პაექრობაში დაშავდა და ბრძოლას გამოეთიშა, ხოლო თაქთაქიშვილმა მოუგო ჩეპაიკინს (ყაზახეთი), შემდეგ შტრასბორგს (გდრ) და ფინალში წააგო ჯაბრაილოვთან. თაქთაქიშვილს II ადგილი მიეკუთვნა.



ყირგიზეთის ქალაქ პრჟევალსკის მცხოვრებლებს დასვენების შესანიშნავი პირობები აქვთ.

თხილამურებით გასეირნების მოყვარულებს მოელით თოვლიანი მთების ფერდობები, ტურისტებს — თვალწარმტაცი ხეობები, ხოლო მათ, ვისაც წყლის სტიქია იტაცებს, შეუძლიათ დაისვენონ ისიკ-ყულის ტბაზე, სადაც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს ნავების სადგური.

საკდესის ფოტო.

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# საუკუნის მატჩი

ა. ალიოხინმა მოიგო I პარტია. რა თქმა უნდა, ასეთ დასაწყისს კაპაბლანკა არ მოელოდა. აღელვებულმა დასვენების დღე აიღო და მეგობრებთან ერთად ბუენოს-აირესის გარეუბანში გაატარა იგი.

მსოფლიო ჩემპიონი მხოლოდ III პარტიის მოგების შემდეგ დაწყნარდა. მერე VII პარტიაც მოიგო და დაწინაურდა კიდეც — 2:1.

მაგრამ კაპაბლანკა გრძნობდა, რომ ალიოხინი საუცხოოდ იყო მომზადებული. როცა ალიოხინმა IX პარტიაში შეუპოვარი დაცვით მძიმე განსაცდელს თავი დააღწია და ყაიმს მიაღწია, მსოფლიო ჩემპიონი აშკარად ანერვიულდა. ორგანიზატორებს ჯერ დარბაზში სიწყნარე მოსთხოვა, მერე — მაყურებელთა გაძევება.

ფსიქოლოგიური ხასიათი ჰქონდა ალიოხინის გამარჯვებას XI პარტიაში. კაპაბლანკა ისე გააკვირვა ამ შეხვედრაში პრეტენდენტის უზადო თამაშმა, რომ თქვა: „მე არ ვიცი ასე მოგება". ამერიკის გაზეთები წერდნენ, ამ წაგებამ თავზარი დასცა კაპაბლანკასო.

კიდევ უფრო შეაწუხა მსოფლიო ჩემპიონი მარცხმა XII პარტიაში. მან უხეში შეცდომით ხარისხი დაკარგა. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ალიოხინმა დაატყვევა მისი გვირგვინოსანი. დაწინაურდა პრეტენდენტი — 3:2.



საგონებელში ჩავარდნილმა კაპაბლანკამ სთხოვა თავის მეგობარს — მანჰეტენის საჭადრაკო კლუბის თავმჯდომარეს ი. ფლინს უკვე დაეწყო მოლაპარაკება მატჩ-რევანშის თაობაზე.

რუსი დიდოსტატი დინჯად თამაშობდა — თეთრებით უპირატესობისთვის იბრძოდა, შავებით ყაიმს სჯერდებოდა. ბრძოლის ეს ტაქტიკა აღელვებდა კაპაბლანკას. იგი ალიოხინს ეუბნებოდა, რომ ასეთი თამაშით მატჩი არასოდეს დასრულდება, ამიტომ ჩვენი შეხვედრა ამჯერად ყაიმით დამთავრებულად ჩავთვალოთ და გაისად ახალი მატჩი ჟითამაშოთო. მაგრამ პრეტენდენტი მტკიცედ მოითხოვდა ბრძოლის გაგრძელებას.

XXI პარტიაში კაპაბლანკა შეევადა „ცეცხლი დაენთო", მაგრამ ზედმეტად გაბედული თამაშისგან თავად დაზარალდა — 4:2.

მატჩის მსვლელობას კაპაბლანკა აშუქებდა გაზეთ „იზვესტიაში", რომელსაც ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას, 1925 წელს დაპირდა, რომ გაუწევდა სპეციალურ კორესპონდენტობას. იგი ძალიან მართალად, უხალისოდ აღწერდა ბრძოლის პერიპეტიებს, კორესპონდენციებშიც იგრძნობოდა მისი შეწუხებული სულის ბორგვა.

ამ კრიტიკულ სიტუაციაში გამოჩნდა მსოფლიო ჩემპიონის დიდი შინაგანი ძალა, მობილიზების საოცარი უნარი. XXVII პარტია მან ბრწყინვალედ წარმართა, მაგრამ მოსაგებ პოზიციაში უხეშად შეცდა და ალიოხინს მუდმივი ქიშის შესაძლებლობა მისცა. გულდაწყვეტილმა კაპაბლანკამ პარტიის შემდეგ განაცხადა: „ეს საბედისწერო ყაიმია". XXIX პარტიაშიც კაპაბლანკა დიდი აღმავლობით იბრძოდა, გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ საერთო გამარჯვებისა უკვე აღარ სწამდა. რა თქმა უნდა, ასეთმა გუნება-განწყობამ დააჩქარა ფინიში.

ალიოხინი დიდი გზნებით მიილტვოდა გამარჯვებისკენ. XXXII პარტიის ენდშპილი მან ფილიგრანული თამაშით მოიგო. ალიოხინი შესანიშნავად იბრძოდა XXXIV პარტიაშიც. მატერიალური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ შეხვედრა გადაიდო. თამაშის განახლებისას ალიოხინი მიუახლოვდა გამარჯვებას, მაგრამ პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

ამ პარტიის დამთავრება 29 ნოემბერს იყო დანიშნული, მაგრამ ალიოხინი და დიდძალი მაყურებელი ამაოდ უცდიდნენ კაპაბლანკას. მან ალიოხინს შემდეგი შინაარსის ბარათი გამოუგზავნა: „ვთმობ პარტიას და გისურვებთ ბედნიერებას მსოფლიო ჩემპიონობაში".

დასრულდა სამთვიანი ბრძოლა. ალიოხინმა გაიმარჯვა ანგარიშით 18,5:15,5 (+6—3=25). აღსრულდა რუს მოჭადრაკეთა ოცნება. მან მიაღწია იმას, რაც ვერ შეძლო მ. ჩიგორინმა. 1927 წლის 9 დეკემბერს ალიოხინი საზეიმოდ აკურთხეს მსოფლიო ჩემპიონად. ბანკეტს კაპაბლანკა არ დაესწრო. იქვე ალიოხინმა განაცხადა, რომ მზადაა შეხვდეს კაპაბლანკას მატჩ-რევანშში, მაგრამ არა უადრეს 1929 წლისა.

75-დღიანმა დაძაბულმა პაექრობამ აალაპარაკა ჭადრაკის სამყარო. სპეციალისტები ცდილობდნენ ჩაწვდომოდნენ კაპაბლანკას, ამ უშეცდომო მოჭადრაკე-ავტომატის, დამარცხების მიზეზს.

ე. ლასკერი წერდა: „ალიოხინის მოგება არის დაუცხრომელი მებრძოლის გამარჯვება გონებაზე, რომელიც გვერდს უვლის ყოველივე გაურკვეველს. კაპაბლანკა სიზუსტისკენ მეცნიერული მეთოდის გზით მიილტვის. ალიოხინი კი უპირატესად ხელოვანია, მასში მეტია ძიება...".

დიდოსტატი რ. რეტი ამბობდა „ალიოხინის მოგებულ პარტიებში თანამედროვე ტექნიკის ყინულოვანი საფარის ქვეშ კაშკაშად ანთია ახალი გზების გატაცებული ძიება, რაც კაპაბლანკასთვის სრულიად უცხო იყო".

ალიოხინის გამარჯვებამ ჭადრაკს ნათელი მომავალი დაუსახა. კაპაბლანკა ქადაგებდა, რომ ჭადრაკს საყაიმო ჭია გაუჩნდა და იგი თანდათან დაკარგავს მიმზიდველობას, შემოქმედებითს შინაარსს. ახალმა მსოფლიო ჩემპიონმა თავისი პარტიებით უკუაგდო ეს მცდარი შეხედულება. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ ჭადრაკი რჩება შემოქმედების ამოუშრობ წყაროდ. სწორედ ამიტომ კაპაბლანკა — ალიოხინის მატჩი ჭადრაკის ისტორიაში შევიდა, როგორც XX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა.

ახალი მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრე ალიოხინი (19. X. 1892-25. III. 1946) ჭაბუკობაში დაინტერესდა ჭადრაკით. იგი უაღრესად შრომისმოყვარე და მიზანდასახული იყო. ოსტატის წოდება მოიპოვა 1909 წელს პეტერბურგის მოყვარულთა ტურნირში. მერე ბევრს თამაშობდა ტურნირებსა და მატჩებში. ფართო საზოგადოებრიობამ ალიოხინი გაიცნო პეტერბურგის 1914 წლის ტურნირის დროს, როცა III ადგილი დაიკავა ლასკერისა და კაპაბლანკას შემდეგ. დიდად ნიჭიერი დიდოსტატის ცხოვრების პირველი ნახევრის მიზანი საუცხოოდ ჩანს სიტყვებში, რომელიც მან წარმოთქვა კაპაბლანკასთან გამარჯვების შემდეგ: „როგორც იქნა, ასრულდა ჩემი ცხოვრების ოცნება, შევძელი ჩემი დიდი ხნის მეცადინეობისა და შრომის ნაყოფის მიღება". ალიოხინი იყო კომბინაციის განუმეორებელი ჯადოქარი, ღრმად მოაზროვნე და დაუშრეტელი შემოქმედი.

ჭადრაკის სამყარომ მიიღო ღირსეული მსოფლიო ჩემპიონი.

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: მეოთხე მსოფლიო ჩემპიონი ა. ალიოხინი.

დასასრული. იხ. „ლელო" № 68

**სსრ კავშირის** სამ ქალაქში დაიწყო ვაჟთა და ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური ხელბურთში. კიშინიოვში, სადაც ასპარეზობენ ქალები, ადგილობრივმა სპარტაკმა მოუგო სვერდლოვსკის უპის 30:9; კაუნასის „ჟალგირისმა" — ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდს 12:9; კიშინიოვის „დინამომ" დაამარცხა სვერდლოვსკის „კალინინეცი" 17:16.

მინსკსა და ბაქოში ასპარეზობდნენ ვაჟთა გუნდები. მინსკში წა-

## ჩემპიონატი განახლდა

რმატებით აიღეს სტარტი თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს რიგის „ელექტრონიკსი" 25:16, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა მოუგო ლვოველ არმიელებს 31:25, ხოლო კაუნასის „გრანიტასმა" ფრედ დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ ასკ-თან 29:29.

ბაქოში მოსკოველმა არმიელებმა [illegible] თანაქალაქელი „კუნცევოს" სპორტსმენები 28:21, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდმა მოუგო თანაქალაქელ „ალუმინსტროის" სპორტსმენებს 30:20. ბაქოელ და კიეველ არმიელთა შეხვედრაში გამარჯვება პირველთა მხარეზე იყო — 23:18.

## ხელბურთი

**ბონი.** ხელბურთში მსოფლიო ჩემპიონის — გფრ-ის ნაკრების ხელმძღვანელმა — იუგოსლაველმა მწვრთნელმა ვ. **შტენცლმა** ინტერვიუ მისცა საკდესის კორესპონდენტს ბონში:

— თანამედროვე ხელბურთში თავდასხმის ტაქტიკა, — თქვა შტენცლმა, — მოთამაშეთაგან მოითხოვს მრავალი პოზიციიდან ბურთის გათამაშებას. შეტევა უნდა იყოს სწრაფი. ბურთის ზედმეტი გადაცემები და არასაჭირო მოძრაობები მინიმუმამდე უნდა დავიდეს.

ძნელია რამე შეცვალო დაცვის ტაქტიკაში. აქ მთავარია გამოიცნო მეტოქის ჩანაფიქრი, გაითვალისწინო საშიში სიტუაცია. მე არ ვიზიარებ აზრს, თითქოს ხელბურთი უფრო უხეში გახდა. სპორტის ამ სახეობას მუდამ ახასიათებდა „უხეშობა" და აქ შველა მხოლოდ მსაჯებსა და წესებს შეუძლიათ.

მაღალი ტანის ხელბურთელებით გატაცებამ შეიძლება გუნდის მანევრირების დაკარგვამდე მიგვიყვანოს. „გულივერებს" იშვიათად თუ ძალუძთ სწრაფად თამაში. კოლექტივში შეიძლება იყოს ერთი, უკიდურეს შემთხვევაში ორი ტანმაღალი მოთამაშე, მე წინააღმდეგი ვარ იმ წესის გატარებისა, რომელიც ბურთის ფლობის დროს ზღუდავს. ასეთი წესი ბურთის გათამაშების თავისუფლებისა და სივრცის დაკარგვას, თამაშის უსარგებლო გართულებას გამოიწვევდა. ხელბურთი ისევე მარტივი უნდა იყოს, როგორც ფეხბურთი, მან სპორტსმენებსა და მაყურებლებს სიამოვნება უნდა მოუტანოს.

## ახალ საფეხურზე

საბჭოთა კავშირის, გფრ-ისა და გდრ-ის ნაკრებებს ამჟამად ხელბურთელთა საუკეთესო გუნდებად მიიჩნევენ. ჩემთვის ყოველმხრივ სამაგალითონი არიან ოლიმპიური ჩემპიონები — საბჭოთა ხელბურთელები, რომლებსაც სწრაფი თავდამსხმელები, საიმედო დაცვა და კარგი ურთიერთგაგება აქვთ. საბჭოთა ნაკრები რომ მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა, ეს გფრ-ის გუნდის „ბრალია", რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა ფინალურ მატჩში. კოლექტივი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ძალზე ახალგაზრდაა, მისი წევრები კი გულმოდგინე და პატივმოყვარენი არიან. ფინალურ მატჩში საბჭოთა ხელბურთელები ცოტათი სჯობდნენ მათ კარის მახლობლად ბურთის გათამაშებაში.

ჩემთვის აღმოჩენაა გდრ-ის ნაკრები. მას ძლიერი და თანაბარი შემადგენლობა, გამძლე მოთამაშეები ჰყავს. ისინი კარგად ხედავენ მოედანს. ამას გარდა, საბჭოთა კავშირის, გფრ-ისა და გდრ-ის გუნდებს საერთოც აქვთ — მათი მეკარეები მსოფლიოში საუკეთესონი არიან.

ვიმედოვნებ, მოსკოვის ოლიმპიადაზე, — დაასკვნა შტენცლმა, — ვაჟთა ხელბურთი დაიის მსოფლიო ჩემპიონატთან შედარებით ახალ საფეხურზე ავა.

## მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

### „ოლიმპიადა-80-ს" მიეძღვნა

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარეობს ქვეყნის პროფკავშირთა III სპარტაკიადა, რომელიც ეძღვნება მოსკოვის ოლიმპიადას.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და პროფკავშირებმა გამოაცხადეს კონკურსი თემაზე: „რა იცით მოსკოვის — ოლიმპიადა-80-ის დედაქალაქის შესახებ".

(საკდესის კორ.).

ულანბატორი.

**ბულგარეთის** ქალაქ ხასკოვოში გათამაშდა რონკეტის თასი. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სოფიის „ლევსკი-სპარტაკი" და ბრატისლავის „სლოვანი". მატჩის დამთავრებამდე 5 წამით ადრე ბულგარელმა კალათბურთელებმა გადამწყვეტი ბურთი ჩააგდეს მეტოქის კალათში — 50:49.

დამთავრდა საკლუბო გუნდების კიდევ სამი ევროპული ტურნირი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, რომელიც ნიცაში ჩატარდა, იტალიურმა კლუბმა „ჯესამა" მოუგო პრაღის „სპარტაკს" 74:66. ეს ორი შეჯიბრება ქალთა გუნდებს შორის მოეწყო.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში ვაჟთა გუნდებს შორის ერთმანეთს შეხვდნენ იტალიური კლუბები — ბოლონიის „სინუდინი" და კანტუს „გაბეტი". გაიმარჯვეს კანტელებმა 84:82.

## კალათბურთი

კორაჩის თასის მფლობელი გახდა ბელგრადის „პარტიზანი", რომელმაც მოუგო მეორე იუგოსლავიურ გუნდს სარაევოს „ბოსნას" 117:110.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გამარჯვებული გამოირკვევა 6 აპრილს მიუნხენში, როცა ერთმანეთს შეხვდებიან იტალიის კლუბი „მობილჯირჯი" და ესპანეთის „რეალი" (მადრიდი).

მიმდინარე სეზონში საბჭოთა გუნდები ამ ტურნირებში არ მონაწილეობდნენ.

# ყველა მიღწევა დაჩრდილა

**პარიზი.** „მსოფლიო მძლეოსნობის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ვლადიმერ იაშჩენკომ, როდესაც მილანში მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა (დარბაზებისთვის) დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში, — წერს ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი". — მან უმაგალითო დუელი მოუგო ბაილშმიდტსა (გდრ) და კილინგს (გფრ)".

საბჭოთა ახალგაზრდის (იგი 19 წლისაა) წარმატებამ მილანის ჩემპიონატის ყველა მიღწევა დაჩრდილა.

ბაილშმიდტმა ასე დაახასიათა თავისი მეტოქე: „ეს ყველა დროის უდიდესი მხტომელია. იაშჩენკო ძალიან ახალგაზრდაა, ჩემის აზრით, მისი ტექნიკა სრულყოფილი არ არის, მაგრამ მას ფენომენალური „აფეთქების" ძალა აქვს. შემიძლია დავიჩემო და არც შევცდები, რომ იაშჩენკო იქნება პირველი, ვინც გადალახავს 240 სმ სიმაღლეს. ახლა შეუძლებელია მისი შესაძლებლობების ზღვარის წარმოდგენა". (საკდესი).

## მხიარული ფანქრით



სწრაფდაშვებაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკი.



უსიტყვოდ.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატები.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს" მეცამეტე ტირაჟისა, რომელიც 1 აპრილს მოსკოვში გაიმართა.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 215, სამისთვის — 6.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3582 მანეთია, ოთხისთვის — 79, სამისთვის — 4.

მოგებული თანხა გაიცემა 12 აპრილიდან 12 მაისის ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი, მეთოთხმეტე ტირაჟი.

აი იღბლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო": 6 (კალათბურთი), 10 (საბუერო სპორტი), 35 (სპიდვეი), 39 (სამბო), 43 (ფარიკაობა), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 16 (ტანვარჯიში).

„სპორტლოტო-2": 4 (ალპინიზმი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 24 (სათხილამურო სპორტი), 26 (მოტობურთი), 40 (ტურიზმი). შეღავათიანი ბურთულა — 10 (საბუერო სპორტი).

რედაქტორი ა. გახილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66435
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 099669